

მკვლევლობა უნივერსიტეტში: ტრავმული მოვლენის ზეგავლენა
სტუდენტებსა და ლექტორებზე

თამარ გიგიტაშვილი

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფსიქიკური ჯანმრთელობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მახაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015



განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

თამარ გიგიტაშვილი

6.07.2015

აბსტრაქტი

წინარე კვლევის მიზანია იკვლიოს მკვლევლობის შემსწრეობის, როგორც ტრავმული გამოცდილების - მწვავე და ასევე გახანგრძლივებული ზეგავლენა სტუდენტებისა და ლექტორების ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

კვლევა ორ-ფაზიანი. პირველ საფეხურზე/ფაზაზე ჩვენ ვიკვლევდით პოსტ ტრავმული სტრესული აშლილობის ან მისი სიმპტომების, ასევე სხვა ზოგადი ფსიქიკური აშლილობების (დეპრესია, შფოთვა) მწვავე ზეგავლენას სტუდენტებსა და ლექტორებზე - ტრავმული მოვლენიდან სტუდენტებთან ორი, ხოლო ლექტორებთან სამი კვირის შემდეგ. მეორე საფეხურზე კი შევისწავლეთ იმავე სამიზნე ჯგუფში ტრამვის გახანგრძლივებული ზემოქმედება ტრავმული მოვლენიდან 7 თვის შემდეგ. კვლევა რაოდენობითა და შედეგები დამუშავებულა SPSS-ში.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 25 ადამიანმა. ეს ადამიანები იყვნენ ილიას უნივერსიტეტის 13 სტუდენტი და 12 თანამშრომელი, რომლებიც იყვნენ ტრავმული უშუალო შემსწრენი, იმყოფებოდნენ კორპუსში ან პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე იცნობდნენ მსხვერპლს.

კვლევის მეორე საფეხურზეც, სამიზნე ჯგუფი იგივე რჩება. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ამ საფეხურზე მხოლოდ 14 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, თუმცა ეს მონაწილეთა ნახევარზე მეტია.

კვლევის პირველ საფეხურზე გამოვიყენეთ ოთხი სკრინინგ ინსტრუმენტი. ეს ინსტრუმენტებია: მწვავე სტრესის სიმპტომების სიმძიმის შესაფასებელი კითხვარი (NSESSS), დეპრესიის სიმძიმის შესაფასებელი სკრინინგ ინსტრუმენტი (PHQ-9), გენერალიზებული შფოთვითი აშლილობის შესაფასებელი სკრინინგ ინსტრუმენტი (GDA7) და მოვლენათა მასშტაბის განახლებული შკალა (Impact of Event Scale-Revised). ხოლო მეორე საფეხურზე გამოვიყენეთ პოსტ ტრავმული სტრესული

აშლილობის სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი (PCL-5) - მწვავე სტრესისი სიმპტომების სიმძიმის შესაფასებელი კითხვარის (NSESSS) ნაცვლად, რადგან ამ ფაზაზე ვიკვლევთ ტრავმული გამოცდილების უკვე გახანგრძლივებულ შედეგებს.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით დადასტურდა, რომ ასეთი ტიპის ტრავმული ექსპოზიცია ნამდვილად ახდენს გავლენას ადამიანის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, თუმცა დროთა განმავლობაში შეიძლება მოხდეს ბუნებრივი გამოჯანმრთელება, რაც ჩვენი კვლევის შემთხვევაში ნათლად დავინახეთ.

ძირითადი საძიებო სიტყვებია: მკვლელობის მოწმეობა, ტრავმული ექსპოზიცია, პოსტტრავმული სტრესული აშლილობა, შფოთვა, დეპრესია.

Abstract

The given research aims to study acute and also long-term impact on mental health of both students and lecturers as a result of witnessing the murder-as a traumatic experience.

The research has two phases. At the first stage/phase, we studied acute impact of post-traumatic stress disorder or its symptoms, also other general psychic disorders (depression, anxiety) on students and lecturers-two weeks after the traumatic event in case of students and three weeks after-in case of lecturers. At the second stage we studied the long-term impact on the same target group after seven months-the research is quantitative and the results are processed in SPSS.

25 individuals participated in the research. They were 13 students and 12 employees of Ilia State University, who directly witnessed the tragedy, were in the building or knew the victim proceeding from professional activities.

The target group remains the same during the second stage. Unfortunately, only 14 individuals took part in this stage, but it is still more than a half.

We used four screening tools at the first stage of the research. They are: Severity of Posttraumatic Stress Symptoms - Adult (NSESSS), Patient Health Questionnaire - 9(PHQ-9), Screening tool for evaluating the Generalized Anxiety Disorder (GAD7) and Impact of Event Scale-Revised. And at the second stage we used post traumatic stress disorder diagnostic tool - PCL-5 instead of Severity of Posttraumatic Stress Symptoms - Adult (NSESSS), because we study long-term results of traumatic experience at this stage.

Based on the results of the research, it was proved, that traumatic exposure of this kind really has an impact on individual's mental health, though natural recovery may take place over time, which is clearly seen in our research.

Key search words: Witnessing the murder, traumatic exposure, post-traumatic stress disorder, anxiety disorder, depression.

მადლობა

დიდი მადლობა ილის უნივერსიტეტის ფსიქიკური ჯამრთელობის რესურს ცენტრს და მის ხელმძღვანელებს, მოცემული კვლევის ხელმძღვანელ ქ-ნ ნინო მახაშვილს და კვლევაში მონაწილე ილის უნივერსიტეტის სტუდენტებსა და ლექტორებს.